

თბილისის უროვის წითელი ღროვის ორდენოსანი
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჯეფილ ბიუნაფვილი

სვარსული ენის სახელმეღვანელო

71

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1987

8.I.2.11ep - 9

გ. 534

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალიზაციის სტუდენტებისათვის. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ასევე ყველას, ვინც დაინტერესებულია თანამედროვე სპარსული სალიტერატურო ენის შესწავლით.

რედაქტორი პროფ. კონსტანტინე ფაღავა

რეცენზენტები: დოც. ლ. თუშიშვილი

ისტ. მეცნ. კანდ. გ. ბერაძე

ГИУНАШВИЛИ Джемшид Шалвович

УЧЕБНИК ПЕРСИДСКОГО ЯЗЫКА

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета

Тбилиси: 1987

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987

Г 43.10020000
М608(06)-87

წინასიტყვაობა

ირანისტიკის დარგში ინტენსიური მუშაობა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისთანავე (1918) დაიწყო ჩვენში. ცნობილი ქართველი მეცნიერების გიორგი ახვლედიანისა (1887-1973) და იუსტინე აბულაძის (1874-1962) სამეცნიერო და პედაგოგიურმა მოღვაწეობამ განაპირობა ირანული ენამეცნიერების, კერძოდ სპარსული ენის, შესწავლისა და კვლევის მაღალი დონე ქართულ აღმოსავლეთმცოდნეობაში. სპარსული ენის სწავლებას თბილისის უნივერსიტეტში დიდი ტრადიციები აქვს. ჩვენი სპეციალისტების მიერ შედგენილია ძირითადი სახელმძღვანელოები და ქრესტომათიები.^I



სპარსულის, როგორც უცხო ენის, სწავლება ითვალისწინებს ოთხ მომენტს: ა) სპარსულ ენაზე მოლაპარაკე პირის მეტყველების გაგებას; ბ) სპარსულ ენაზე ლაპარაკს; გ) ნაბეჭდი და ხელნაწერი სპარსული ტექსტების კითხვასა და დ) სპარსულ ენაზე წერას.

^I იუსტ. აბულაძე, ირანული ენის გრამატიკა, ტფილისი, 1936 (ყდაზე - 1937); სპარსული ენის სახელმძღვანელო, თბილისი, 1953; ვ. ფუთურიძე, სპარსული ენა, სავარჯიშო მასალა, I, ტფილისი, 1936; სპარსული ქრესტომათია ლექსიკონითურთ, I, თბილისი, 1946; დ. კობიძე, სპარსული ქრესტომათია, I, II, თბილისი, 1963/1981, 1967; ლ. თუშიშვილი, სპარსული ქრესტომათია ლექსიკონით, თბილისი, 1970; ჯ. გიუნაშვილი, დ. კაციტაძე, სპარსული საისტორიო ტექსტები, I, თბილისი, 1972; ჯ. გიუნაშვილი, საკითხავი წიგნი სპარსულში, თბილისი, 1980.

უპირველესი ამოცანაა შეზღუდული რაოდენობის ლექსიკური მასალის საფუძველზე დავუფიქროთ სპარსული ენის ბგერით სისტემას და ენობრივი ელემენტების გარკვეულ თანამიმდევრობაში მოქცევის წესებს.

ცნობილია, რომ ენა პირველ რიგში არსებობს ზეპირ მეტყველებაში, ხოლო შემდეგ - დამწერლობაში. წერა-კითხვის ცოდნის საყოველთაო გავრცელებამ თანამედროვე საზოგადოებაში განაპირობა ის, რომ ჩვენ ხშირად ვივიწყებთ ამ ჭეშმარიტებას. ლოგიკურია, უცხო ენის შესწავლა დავიწყოთ მისი ზეპირი ფორმის სწავლებით. ² გასათვალისწინებელია ისიც, რომ როდესაც შესასწავლი ენის დამწერლობის სისტემა ადეკვატურად არ შეეფარდება ზეპირ მეტყველებას და უჩვეულა შემსწავლელთათვის, მისი შესწავლა არავითარ შემთხვევაში ჯარ უნდა უსწრებდეს ენის ათვისებას. ³ კომპეტენტური სპეციალისტების აზრით, იმ შემთხვევაშიც კი, როცა უცხო ენის შემსწავლელს სურს დაეუფლოს მხოლოდ კითხვას, ენის საფუძვლების, მისი ბგერითი სისტემისა და სტრუქტურის ათვისება უმჯობესია განხორციელდეს ზეპირი მეტყველების მეშვეობით. ⁴

ავტორი შეეცადა, წინამდებარე სასწავლო წიგნი, რომელიც ძირითადად განკუთვნილია თბილისის უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალიზაციის სტუდენტებისათვის, აეგო აღნიშნული პრინციპების მიხედვით. სახელმძღვანელო შედგება 55 გაკვეთილისაგან, წარმოადგენილი ლექსიკური მასალა - 1400 ერთეული-

2 იხ. E.N.Mayer, D.H.Obrecht, The Application of Linguistics to Language Teaching, French Review, XXX, 1955, გვ.32.

3 L.Bloomfield, Outline Guide for the Practical Study of Foreign Languages, Baltimore, 1942, გვ.8.

იხ. Ch.Fries, Teaching and Learning English as a Foreign Language, Ann Arbor, 1945, გვ.6.

საგან. პირველი 45 გაკვეთილის სპარსული მასალა გად-
მოცემულია ოდნავ მოდიფიცირებული ქართული გრაფიკით,
რომელიც ზედმიწევნით ასახავს სპარსულ მეტყველებას.
გარდა ამისა, სპარსული ენის ათვისების პირველ ეტაპ-
ზე ქართული გრაფიკის შემოღება ქართველ სტუდენტს ათა-
ვისუფლებს მისთვის ძალზე უჩვეულო სიტუაციისაგან, რო-
ცა მან პირველსავე მეცადინეობებზე, მაგალითად, ფონე-
მა (ბგერა) ზ-ს გამოსახატავად უნდა გამოიყენოს 9
განსხვავებული მოხაზულობის გრაფემა.

ავტორი ითვალისწინებს აგრეთვე იმ ფაქტს, რომ
უცხო ენის შემსწავლელის მეხსიერებაში უკეთ აღიბეჭ-
დება ის თანამიმდევრობები, რომლებიც ხშირად მეორდ-
ებიან.⁵ ამიტომ, თითოეულ გაკვეთილსა და სავარჯიშოში
მაქსიმალურადაა გამოყენებული განვლილი მასალა: ცალ-
კეული სიტყვები, გრამატიკული ფორმები და ენობრივი
ელემენტების განლაგების მოდელები. ამით, ვფიქრობთ, შემ-
სწავლელს გაუადვილდება სპარსული წინადადებების იმპ-
როვიზაცია და მათი სწორად შედგენა შეთვისებული სტე-
რეოტიპების საფუძველზე.

სახელმძღვანელოს მომხმარებელს მოვახსენებთ, რომ
წინადადებათა წევრების გაფორმებისა და გარკვეულ თან-
მიმდევრობაში მოქცევის წესების უკეთ დაუფლების მიზ-
ნით დავალებათა ქართული ტექსტი დაახლოებულია სპარ-
სულ ენაზე სათარგმნი მასალის სტრუქტურასთან, რაც ზოგ-
ჯერ ხელს უშლის ქართული ენის ნორმების ზუსტად დაცვას.

სპარსული ზეპირი მეტყველების უკეთ დაუფლების
მიზნით სტუდენტებმა თსუ ზეპირი მეტყველების სასწავ-
ლო-სამეცნიერო ლაბორატორიაში უნდა მოისმინონ სახელ-
მძღვანელოს გაკვეთილების მიხედვით მომზადებული ლინ-
გაფონის სავალდებულო კურსი.

5 იხ. Э.П.Шубин, Языковая коммуникация и обучение иностранным
языкам. М., 1972, გვ.99, 145, 264.

სპარსული ენა და მისი ადგილი
— ირანულ ენათა ჯგუფში —

„ირანული ენების“ სახელით ცნობილია ენათა დიდი ჯგუფი, რომელშიც ამჟამად შედის სპარსული, ტაჯიკური, ავღანური (პაშტო), დარი, ოსური, ქურთული, თათური, თალი-შური, ბელუჯური და პამირის ენები.

ტერმინი „ირანული“ მომდინარეობს ირანულენოვანი ტომების ეთნიკური სახელწოდებიდან „არიჩა“ ან „არჩა“. ამ სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის მრ. რიცხვის ფორმას წარმოადგენდა „არიჩანამ“. აქედანაა მიღებული სპარსული „ირან“ და ტაჯიკური „ერონ“.

ირანული ენების განვითარების ისტორია პირობითად სამ ეტაპად იყოფა: I. ძველი - დაახლოებით II ათასწლეულის დასაწყისიდან IV-III სს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე; 2. საშუალო - IV-III სს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე - VIII-IX სს. ჩვენი წელთაღრიცხვით; 3. ახალი - VIII-IX სს. დღევანდლამდე. ძველ ირანულ ენებს განეკუთვნებიან სოლისებრი წარწერების ძველი სპარსული ენა, ზორასტრიული რელიგიური ტექსტების (ავესტა) ენა, მიდიური, სკვითური ენები; საშუალო ირანულ ენებს - პართული, საშუალო სპარსული, სოლდური, ალანური. ახალი ირანული ენები ჩვენ უკვე დავასახელებთ.

ყველაზე მნიშვნელოვანი ირანულ ენათაგან არის სპარსული (ტაჯიკური). სპარსულ ენაზე განვითარდა უმდიდრესი მწერლობა - პოეზია, მხატვრული და ისტორიული პროზა, სხვადასხვა დარგის სამეცნიერო ლიტერატურა. ირანის სახელმწიფოს ოფიციალური ენა სპარსული გახლავთ. „ქაბულის სპარსული“ (ანუ დარი) გამოცხადებულია ავღანეთის მეორე სახელმწიფო ენად. სპარსულ ენას ეწოდება პაკისტანის, ინდოეთისა და ერაყის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი.

ადამიანს შეუძლია წარმოქმნას მრავალი ბგერა, მაგრამ ურთიერთობის დასამყარებლად იგი, როგორც წესი, იყენებს სამეტყველო ბგერებს. თუ სამეტყველო ბგერის განხილვისას ყურადღებას გავამახვილებთ ბგერის ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ-აკუსტიკურ მხარეზე, მაშინ მის აღსანიშნავად უნდა ვიხმაროთ ტერმინი ბგერა; თუ სამეტყველო ბგერის განხილვისას ყურადღების ცენტრში გვიქნება მისი სოციალური ღირებულება, მაშინ მას აღვნიშნავთ ტერმინით - ფონემა.

დავაკვირდეთ საკუთარ მეტყველებას. ქართველი კაცი ხან იტყვის „ვჭამ“, ხან - „ჭჭამ“. ფიზიკურად, აკუსტიკურად ვ და ჭ სხვადასხვა ბგერებია, მაგრამ ვ-ს ნაცვლად ჭ-ს ხმარება არ იწვევს აზრის შეცვლას, ე.ი. ვ - ჭ დაპირისპირება ქართულში მოკლებულია სოციალურ ღირებულებას. ახლა ავიღოთ ასეთი წყვილი: „ბოლი“ და „დოლი“. ფიზიკურად, აკუსტიკურად ბ და დ სხვადასხვა ბგერებია და, რაც მთავარია, ბ-ს ნაცვლად დ-ს ხმარება იწვევს აზრის შეცვლას, ე.ი. ამ სიტყვებში ბ დაუპირისპირდა დ-ს და ამით მიიღო სიტყვაგანმასხვავებლობითი მნიშვნელობა, ე.ი. ბ - დ დაპირისპირებას ქართულში აქვს სოციალური ღირებულება, იგი დისტინქტური ფუნქციის მქონეა. ამრიგად: „ვჭამ“ - „ჭჭამ“ წყვილის განხილვისას ჩვენ საქმე გვაქვს ერთ ფონემასთან, რომელიც ვლინდება ორ სხვადასხვა ბგერაში; „ბოლი“ - „დოლი“ წყვილის განხილვისას კი გვაქვს ორი ფონემა, რომლებიც ვლინდებიან ორ სხვადასხვა ბგერაში.

ქართველი სტუდენტებისათვის სპარსული სალიტერატურო ენის თანხმონების ათვისება და წარმოქმნა არ არის ძნელი. ამ თვალსაზრისით სპარსულსა და ქართულს შორის ასეთი განსხვავება იჩენს თავს: სპარსულში არის ფონემა „ჭ“ (რომელსაც ქართველი მშობლიურ მეტ-

ყველგებაში ხშირად წარმოიქმნება ბგერის დონეზე), მაგ-
 რამ არ არის ფონემა „ღ“ (რომელსაც სპარსელი მშობლი-
 ურ მეტყველებებაში ხშირად წარმოიქმნება ბგერის დონეზე).
 სპარსულში არის ფონემები ჟ და ძ.

შეცადროთ ქართული და სპარსული ენების თანხმო-
 განთა სისტემები:

<u>ქართული ხშული ფონემები</u>	<u>სპარსული ხშული ფონემები</u>
ბ - ფ - ვ	ბ - ფ
დ - თ - ტ	დ - თ
ძ - ც - წ	
ჯ - ჩ - ჭ	ჯ - ჩ
გ - ქ - კ	გ - ქ
(ვ) - ყ	

როგორც ვხედავთ, ქართული ენის ხშულ თანხმოგანთა
 სისტემა სპარსულთან შედარებით გაცილებით უფრო მდი-
 დარია და ფაქტიურად მთლიანად „იტევს“ მას თავის
 თავში. ქართულმა სტუდენტმა მხოლოდ უნდა „ისწავლოს“
 მკვეთრი ხშულის „ქ“-ს წარმოქმა.

<u>ქართული ნაპარალოვნები</u>	<u>სპარსული ნაპარალოვნები</u>
ვ - -	ვ - ფ
ზ - ს	ზ - ს
შ - ზ	შ - ზ
ღ - ხ	- - ხ
- - ჰ	- - ჰ

* გ. ახვლედიანი აღნიშნავს: „... ქ ხოვში წარმოებუ-
 ლი მკვეთრია - სახმო სიმების ხშვა-სკდომით -
 და ანასიათებს მეგრულს (მაგ. სიტყვაში ყუდე); ქარ-
 თულ მეტყველებაში გვხვდება, როგორც კენესის ან ჭინ-
 თვის ბგერა, აგრეთვე აკრძალვის შორისდებულში: ყაჰ.
 მეგრულში იგი ფონემაა, ქართულში - არა (ზოგადი ფო-
 ნეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 88).

როგორც ვხედავთ, ქართული ენის ნაპრალოვან თან-
 ხმოვანთა სისტემა თითქმის მთლიანად ემთხვევა სპარ-
 სული ენის ნაპრალოვან თანხმოვანთა სისტემას, ოღონდ
 სპარსული ენის შესწავლისას ქართველმა სტუდენტმა
 უნდა „ისწავლოს“ ფონემა ჭ-ს ხმარება, და „დაივიწი-
 ყოს“ ფონემა ღ.

ქართული ენის სონორული <u>თანხმოვნები</u>	სპარსული ენის სონო- <u>რული თანხმოვნები</u>
რ	რ
ლ	ლ
ნ	ნ
მ	მ
	ჰ

აქ „სასწავლია“ მხოლოდ ფონემა ჰ, რაც ქართვე-
 ლისათვის სიძნელეს არ წარმოადგენს (ზღრ. დიალექტ.
 დედაჰ).

ახლა შევადაროთ ერთმანეთს ორი ენის ხმოვნები.

ქართული ენის ხმოვნები <u>მარტივი ხმოვნები</u>	სპარსული ენის ხმოვნები <u>მარტივი ხმოვნები</u>
ი	ი
ე	ე
ა	ა
ო	ო
უ	უ
<u>დიფთონგები</u>	<u>დიფთონგები</u>
--	ეჰ
--	ოჰ

სპარსული ენის მარტივი ხმოვნების შესწავლისას ქართველმა სტუდენტმა უნდა „დაივიწყოს“ მშობლიური ენის ფონემა „ა“, და დაეუფლოს უფრო წინა წარმოების უ-ს და უფრო უკანა წარმოების უ-ს წარმოქმას. სპარსული ენის შემსწავლელის მეტყველებაში უ და უ მკვეთრად უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, ვინაიდან მათ აქვთ სიტყვაგანმასხვავებლობითი მნიშვნელობა.

სპარსული ენის დიფთონგების შესწავლისას ქართველი სტუდენტი უნდა დაეუფლოს ეჰ და ოჰ კომპლექსების წარმოქმას.

სპარსული ენის ბგერითი სისტემის დაუფლებისას დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს აგრეთვე მახვილსა და წინადადების მელოდიკას.

გაკვეთილი № I

✓ ისწავლეთ სიტყვები:

ბსთ - არის	დნრ - კარი
ნისთ - არ არის	სიბ - ვაშლი
ბსბ - ცხენი	სორხ - წითელი
ან - ის	ფედნრ - მამა
ინ - ეს	მადნრ - დედა
ჩისთ? - რა არის?	ოთაყ - ოთახი
ქისთ? - ვინ არის?	სბბბდ - კალათი
უ - ის, იგი	ბოზრრგ - დიდი
მბრდ - კაცი	ქურქქ - პატარა
ზნ - ქალი	

ისწავლეთ წინადადებები:

- ინ # სიბ ბსთ - ეს ვაშლია
- ინ # ბსბ ბსთ - ეს ცხენია
- ან # დნრ ბსთ - ის კარია
- ან # სიბ ნისთ - ის ვაშლი არ არის
- ან # ოთაყ ბსთ - ის ოთახია
- ან სიბ # სორხ ბსთ - ის ვაშლი წითელია
- ან სიბ # სორხ ნისთ - ის ვაშლი წითელი არ არის

უ ქისთ? - იგი ვინ არის?
 უ# მაღარ სსთ - იგი დედაა.

დავლება #1 თარგმნეთ სპარსულად (ინტონაციის მრუდის, მახვილისა და პაუზის ნიშნების აღნიშვნით):

1. ეს კარი დიდია. 2. ეს კარი პატარაა. 3. ეს ოთახია. 4. ის ოთახი დიდია. 5. ეს ოთახი პატარაა. 6. ეს კალათია. 7. ის კალათი დიდია. 8. იგი ვინ არის? 9. იგი მამაა. 10. იგი დედა არ არის. 11. ის კაცი დიდია. 12. იგი ქალია. 13. ის ქალი ვინ არის? 14. იგი დედა არ არის.

დაიმახსოვრეთ - სპარსული არ ასხვავებს გრამატიკულ სქესს:

ინ ზან - ეს ქალი
 ინ მარდ - ეს კაცი

გაკვეთილი #2 ✓

ისწავლეთ სიტყვები:

აშ	- ფაფა	სინი	- სინი
აბ	- წყალი	ხანე	- სახლი
გრამ	- ცხელი, თბილი	შარბ	- დვინო
სარდ	- ცივი	შირინ	- ტკბილი
ხუბ	- კარგი	ჩაა	- ჩაი

ისწავლეთ წინადადებები:

ინ აშ#სარდ სსთ - ეს ფაფა ცივია
 ან ხანე # ქუჩე ქ სსთ - ის სახლი პატარაა
 ინ აბ # შირინ სსთ - ეს წყალი ტკბილია (დასალევია)
 ინ სინი # ბოზრგ სსთ - ეს სინი დიდია

დავალება №2 • თარგმნეთ სპარსულად (ინტონაციის მრუ-
დის, მახვილისა და პაუზის ნიშნების აღნიშვნით)

1. ფაფა ცხელია. 2. წყალი ცივია. 3. ჩაი კარგია.
4. ვაშლი ტკბილია. 5. ღვინო წითელია. 6. ეს სახლი არ
არის დიდი. 7. ის სინი პატარაა. 8. ის კაცი კარგია.
9. ის ქალი არ არის კარგი. 10. ის ოთახი არ არის ცი-
ვი. 11. ის ცხენი კარგია. 12. ჩაი არ არის ტკბილი.
13. ის კალათი კარგია. 14. ის კალათი არ არის პატარა.

დამახსოვრეთ - სპარსულ მეტყველებაში ბ, ე და ი
ნმოვნებინ-წინ თანხმოვნები ოდნავ „რბილად“ წარმოითქ-
მის, განსაკუთრებით სილბო შეინიშნება გ, ქ, და ლ
თანხმოვნების წარმოთქმის დროს ბ ხმოვნის წინ.

გაკვეთილი № 3

ისწავლეთ სიტყვები:

მწნ	-	მე	ნაღარამ	-	არ მაქვს
თო	-	შენ			(არ მყავს)
ღარამ	-	მაქვს /მყავს/	სიამაჰ	-	შავი
ღარი	-	გაქვს /გყავს/	ფესარ	-	ბიჭი, ვაჟი
ღარად	-	აქვს /ჰყავს/	დობთარ	-	გოგო, ქალიშვილი
			შექარ	-	შაქრის ფხვნილი

ისწავლეთ წინადადებები: ან მწარდ # ანბ ღარად -
იმ კაცს ცხენი ჰყავს. ინ მწარდ # დობთარ ნაღარად - ამ
კაცს ქალიშვილი არ ჰყავს.

დავალება №3 • თარგმნეთ სპარსულად (ინტონაციის მრუ-
დის, მახვილისა და პაუზის ნიშნების აღნიშვნით):

1. მე ბიჭი მყავს. 2. შენ ქალიშვილი არ გყავს.
3. ის ცხენი შავია. 4. მე არ მაქვს კალათი. 5. ის კარი

არ არის შავი. 6. შაქრის ფხვნილი ტკბილია. 7. ეს გოგო კარგია. 8. ის ბიჭი არ არის კარგი. 9. შენ სახლი არ გაქვს. 10. ის ღვინო არ არის შავი. II. მას კალათი არ აქვს. 12. მე ფაფა არ მაქვს. 13. შენ სინი გაქვს. 14. ეს ჩაი შავია.

დაიმახსოვრეთ: სპარსულ მეტყველებაში ქვემდებარეს წინადადებაში პირველი ადგილი უკავია. ქვემდებარე ყოველთვის პირდაპირ ბრუნვაშია, ე. ი. რაიმე მორფოლოგიური ელემენტი მას არ ერთვის:

მწრდ ვსბ დწრდ (შდრ: კაც-ს ცხენი ჰყავს).

გაკვეთილი №4

ისწავლეთ სიტყვები:

ქარ - საქმე	შომბ - თქვენ ✓
ქწრ - ყრუ	ანჰა - ისინი
ქურ - ბრმა	დწრმ - გვაქვს (გყავს)
გოლ - ყვავილი, ვარდი	დწრდ - გაქვთ (გყავთ)
ქრთაბ - წიგნი	დწრნდ - აქვთ (ჰყავთ)
საბზ - მწვანე	
მა - ჩვენ	

დავალეზა №4 . თარგმნეთ სპარსულად (ინტონაციის მრუდის, მახვილისა და პაუზის ნიშნების აღნიშვნით):

1. ეს ჩაი არ არის მწვანე. 2. მათ არა აქვთ ღვინო. 3. იმ ქალს ბიჭი ჰყავს. 4. ჩვენ წიგნი არ გვაქვს. 5. ის ვარდი წითელია. 6. მე საქმე მაქვს. 7. მათ საქმე არა აქვთ. 8. ის ცაყი არ არის ბრმა. 9. ეს გოგო ყრუა. 10. ის კაცი შავი არ არის. II. ის ქალი არ არის ყრუ. 12. ეს წიგნი პატარაა. 13. თქვენ არა გაქვთ სახლი. 14. ჩვენ საქმე გვაქვს.

დაიმახსოვრეთ ზმნის აწმყო დროის ფორმათა და-

ბოლოებები:

(მხოლოებით)

დარ - უმ

დარ - ღ

დარ - ბდ

(მრავლობითი)

დარ - იმ

დარ - იდ

დარ - ბნდ

გაკვეთილი № 5



ისწავლეთ სიტყვები:

ასან - ადვილი

დოშვარ - ძნელი

ინჯა - აქ

ანჯა - იქ

ქოჯა? - სად?

დარს - გაკვეთილი

ცაყა - დრო

როსტომ - როსტომი

გივი - გივი

გონარ - გულნარა

ისწავლეთ წინადადებები:

დობარ ქოჯასთ? (<ქოჯა + ასთ) - გოგო სად არის?

დობარ ინჯასთ (<ინჯა + ასთ) - გოგო აქ არის

გონარ ცაყათ ნდარად - გულნარას დრო არ აქვს.

დავალეზა № 5. თარგმნეთ სპარსულად (ინტონაცია-
ციის შრუდის, მახვილისა და პაუზის ნიშნების აღნიშვნით):

I. ეს გაკვეთილი ადვილია. 2. ის საქმე ძნელია.
3. მამა სად არის? 4. მამა აქ არ არის. 5. ის ქალი
სად არის? 6. ის ქალი აქ არის. 7. გივის დრო აქვს.
8. როსტომს არა აქვს დრო. 9. ცხენი სად არის? 10. ცხენი
იქ არის. II. ფაფა აქ არის. 12. მათ დრო აქვთ?
13. მათ არა აქვთ დრო. 14. შენ გაკვეთილი გაქვს?
15. მე გაკვეთილი არ მაქვს. 16. ეს ჩაი ცხელია.

დაიმახსოვრეთ: როდესაც „ა“-ზე დაბოლოებულ სიტყვას

ერწყმის „ასთ“-ი, ა იკარგება - ქოჯა + ასთ ->ქოჯასთ.

საკონტროლო წერა

თარგმნეთ სპარსულად:

- 1.ეს კარი არ არის პატარა.
- 2.ის საქმე ძნელია.
- 3.მათ არა აქვთ წიგნი.
- 4.იმ ქალს ქალიშვილი ჰყავს.
- 5.ეს ქალიშვილი არ არის ყრუ.
- 6.მათ დრო აქვთ.
- 7.ის ვარდი წითელი არ არის.
- 8.ჩვენ საქმე არ გვაქვს.
- 9.მე ფაფა მაქვს.
- 10.ჩაი არ არის ტკბილი.

გაკვეთილი №6√

ისწავლეთ სიტყვები

ბაზარ - ბაზარი

ამაძი - მოხვედი

ბე ქოჯა? - საითკენ?

ამაძ - მოვიდა

აზ ქოჯა? - საიდან?

რაძთამ - წავედი

დარ - ში, შიგ(ეს სიტყვა

რაძთი - წახვედი

ვისწავლეთ „კარის მნიშ-

რაძთ - წავიდა

ვნელობით)

ამაძამ - მოვედი

დავალება №6 . თარგმნეთ სპარსულად (ინტონაციის მრუდის, მახვილისა და პაუზის ნიშნების აღნიშვნით):

- 1.ის ქალი სად არის?
- 2.ის ქალი ბაზარში (ბაზარისკენ) წავიდა.
- 3.დედა სად არის?
- 4.დედა ოთახშია.
- 5.ბიჭი სად არის?
- 6.ბიჭი სახლში (სახლისკენ) წავიდა.
- 7.დედა საიდან მოვიდა?
- 8.დედა სახლიდან მოვიდა.
- 9.შენ სად (საით, საითკენ) წახვედი?
- 12.მე ბაზარში (ბაზარისკენ) წავედი.
- 13.წიგნი სად არის?
- 14.წიგნი ოთახშია.

დამახსოვრეთ! ისეთი ქართული კონსტრუქციები, როგორცაა: „სახლში წავიდა“, სპარსულში „ბე“-თი გადმოიცემა- ბე ხანე რაძთ.

გაკვეთილი №7

ისწავლეთ სიტყვები:

ბაყ - ბაღი	ამაღანდ - მოვიდნენ
დეჰ - სოფელი	რანჰთიმ - წავედიო
შანჰრ - ქალაქი	რანჰთიდ - წახვედიო
ამანდიმ - მოვედიო	რანჰთანდ - წავიდნენ
ამანდიდ - მოხვედიო	დანშანმ - მქონდა

მიაქციეთ ყურადღება აწმყოსა და ნამყო დროის ფორმებს შორის არსებულ განსხვავებებს:

აწმყო

ნამყო

(მხოლოებითი რიცხვი)

(მხოლოებითი რიცხვი)

დარ - ამ

დანშ - ამ

დარ - ი

დანშ - ი

დარ - ად

დანშ

(მრავლობითი რიცხვი)

(მრავლობითი რიცხვი)

დარ - იმ

დანშ - იმ

დარ - იდ

დანშ - იდ

დარ - ანდ

დანშ - ანდ

აწმყო დროის ფორმებში გამოიყოფა აწმყო დროის ფუძე, ხოლო ნამყო დროის ფორმებში - ნამყო დროისა. დაბოლოების თვალსაზრისით განსხვავება მხოლოდ III პირის ფორმებში შეინიშნება: ნამყო დროის ფორმა წარმოადგენილია ფუძის სახით, იგი სუფიქსით არ არის გაფორმებული.

დავალება №7. აუღლეთ ნამყო დროის ფორმები: ამაღანმ, რანჰთანმ.

დავალება №8. თარგმნეთ სპარსულად (ინტონაციის მრუდის, მახვილისა და პაუზის ნიშნების აღნიშვნით):

1. ვარდი სად არის? 2. ვარდი ბაღშია. 3. მამა სად

(საიო, საიოკენ) წავიდა? 4. მამა სოფელში (სოფლისკენ) წავიდა. 5. დედა საიდან მოვიდა? 6. დედა სოფლიდან მოვიდა. 7. ბიჭი სად არის? 8. ბიჭი ქალაქშია. 9. ის საქმე ძნელია? 10. ის საქმე არ არის ძნელი, ადვილია. 11. ეს გაკვეთილი ადვილია? 12. ეს გაკვეთილი არ არის ადვილი. 13. მათ წიგნი ჰქონდათ. 14. შენ ღვინო არ გქონდა.

გაკვეთილი № 8

იზაფეტრი

ისწავლეთ შესიტყვებები:

ქეთბზე ხუბ - კარგი წიგნი შანბზე სიძაშ - შავი ღვინო
 სრბზე სორხ - წითელი ვაშლი მადარზე მან - ჩემი დედა
 ახთარზე მან - ჩემი ქალი - თასყუ ანჰან - მათი ოთახი
 შვილი

შანბრზე მან - ჩემი ქალაქი ბანადარზე თო - შენი ძმა
 გრლზე სორხ - წითელი ვარდი

როგორც ხედავთ, საზღვრულ-მსაზღვრელის ურთიერ-
 თობა (ქართულში მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა გვაქვს)
 და კუთვნილება გამოიხატება -ე სუფიქსით. ამ სუფიქსს
 იზაფეტს უწოდებენ, ხოლო კონსტრუქციას - იზაფეტურ
 კონსტრუქციას.

დავალეზა № 9. თარგმნეთ სპარსულად (ინტონაციის მრუ-
 დის, მახვილისა და ჰაუზის აღნიშვნით):

1. შენი ბაღი სად არის? 2. ჩემი ბაღი სოფელშია.
 3. მისი წიგნი სად არის? 4. მისი წიგნი ოთახშია.
 5. ეს კაცი ვინ არის? 6. ეს კაცი ჩემი მამაა. 7. დე-
 და ჩემი სად არის? 8. დედა შენი ბაზარშია. 9. მისი ქა-
 ლი შვილი სად არის? 10. მისი ქალი შვილი ქალაქშია.
 11. მათ კარგი ცხენი ჰყავთ. 12. სოფელში ჩვენ კარგი
 ბაღი გვაქვს. 13. მათ არა აქვთ სოფელში კარგი ბაღი.

14. ქალაქში შენ ცხენი არ გყავს? 15. მისი ძმა ბრმა არ არის. 16. დედაშენს სინი არ ჰქონდა.

დაიმახსოვრეთ! მახვილი იზაფეტზე არ მოდის - სიბზე სორხ.

გაკვეთილი № 9

იზაფეტი (გაგრძელება)

ისწავლეთ სიტყვები და შესიტყვებები:

ნამ - სახელი	ნამე - წერილი, წიგნი
ნამე მან - ჩემი სახელი	ნამეჲ მან - ჩემი წერილი
ჩაშ - თვალი	ჩაშე - წყარო
ჩაშე მან - ჩემი თვალი	ჩაშეჲ დეჰ - სოფლის წყარო
ქურ - ქურა	ქურეჲ მან - ჩემი ქურა

ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს იზაფეტურ კონსტრუქციაში ემატებათ **ჲ**, რომელსაც მხოლოდ ხმოვანთა გასაყარის ფუნქცია აქვს:

ნამე + ე მან > ნამე + **ჲ** + ე მან - ჩემი წერილი

დავალეზა №10. თარგმნეთ სპარსულად (ინტონაციის მრუდის, მახვილისა და პაუზის ნიშნების აღნიშვნით):

1. ჩემი წერილი სად არის? 2. შენი წერილი ოთახშია. 3. დიდი სინი სად არის? 4. დიდი სინი აქ არის. 5. შენი სახლი არ არის დიდი. 6. მათი ქურა პატარაა. 7. იმ ქალიშვილს რა ჰქვია (ქალიშვილის სახელი რა არის)? 8. იმ ქალიშვილს გულნარა ჰქვია (ქალიშვილის სახელი გულნარა არის). 9. სოფლის წყარო სად არის? 10. სოფლის წყარო აქ არის. 11. იმ კაცს რა ჰქვია? (კაცის სახელი რა არის)? 12. იმ კაცს გივი ჰქვია (კაცის სახელი არის გივი). 13. ის კაცი სადაურია (სა-

იდან არის)? 14.ის კაცი ქალაქელია (ქალაქიდან არის). 15.ეს წერილი სოფლიდან არის. 16.წყაროს ცივი წყალი აქვს. 17.წყაროს წყალი ცივია. 18.ამ წყაროს ცივი წყალი ჰქონდა. 19.მათ ცხელი ჩაი არა აქვთ. 20.ის კაცი არ არის ქალაქელი (ქალაქიდან).

გაკვეთილი №10

იზაფეტურ ძეწვევი

ისწავლეთ სიტყვები და შესიტყვებები:

მამდა - ფანქარი; მამდაე სიამჰ - შავი ფანქარი;
მამდაე სიამჰე მამნ - ჩემი შავი ფანქარი.
ყაღამ - კალამი; ყაღამე ხუბ - კარგი კალამი;
ყაღამე ხუბე ფეღარ - მამის კარგი კალამი;
ყაღამე ხუბე ფეღარე თო - შენი მამის კარგი კალამი.

მიზ - მაგიდა; მრზე ბოზარგ - დიდი მაგიდა; მრზე
ბოზარგე თაჰყ - თაბხის დიდი მაგიდა; მრზე ბოზარგ-
გე თაჰყე ფეღარ; მამის თაბხის დიდი მაგიდა; მრზე
ბოზარგე თაჰყე ფეღარე მამნ - ჩემი მამის თაბხის
დიდი მაგიდა.

აქ ჩვენ საქმე გვაქვს საზღვრულ-მსაზღვრელისა
და კუთვნილების გამომხატველი კონსტრუქციების ანა-
მიმდევრობასთან, რომელსაც იზაფეტურ ძეწვეს უწოდებენ.

დავალება №11. თარგმნეთ სპარსულად (ინტონაციის მრუ-
დის, მახვილისა და ბაუზის ნიშნების აღნიშვნით):

1.სად არის შენი დიდი მწვანე ფანქარი? 2.ჩემი
დიდი მწვანე ფანქარი თაბხია. 3.სად არის შენი ვა-
ჟიშვილის წერილი? 4.ჩემი ვაჟიშვილის წერილი აქ
არის. 5.მე კარგი შავი ფანქარი მაქვს. 6.იმ ბიჭს
კარგი წითელი ვარდი აქვს. 7.სად არის თქვენი ცხე-
ლი ჩაი? 8. თქვენი დიდი მაგიდა იქ არ არის. 9.მათ
კარგი ცხენი არ ჰყავთ. 10.ეს მათი სახლის კარია.

11. მისი კარგი წითელი ვაზლი იქ არის. 12. ეს კარგი კალათი სადაურია? (საიდან არის?) 13. ეს კარგი კალათი თქვენი სოფლისაა (სოფლიდან არის). 14. თქვენი სოფლის წყაროს წყალი ცივია. 15. ეს რა არის? 16. ეს თქვენი ტკბილი შავი ღვინოა. 17. სად წავიდა თქვენი უფროსი (დიდი) ვაჟი? 18. ჩემი უფროსი ვაჟი ქალაქში წავიდა.

დაიმახსოვრეთ: საზღვრულ-მსაზღვრელისა და კუთვნილების გამომხატველი კონსტრუქციების ძეწკვები სპარსულსა და ქართულში საპირისპირო წყობისანი არიან - რითაც იწყება ქართული კონსტრუქცია, იმით სპარსული მთავრდება.

შდრ: ქნაბე ხუბე მან
ჩემი კარგი წიგნი

საკონტროლო წერა
თარგმნეთ სპარსულად:

1. თქვენი უფროსი ქალიშვილი ქალაქს (ქალაქში) წავიდა. 2. თქვენი შავი ღვინო არ არის ტკბილი. 3. ეს კარგი ვაზლი თქვენი სოფლისაა (სოფლიდან არის). 4. მათი სახლის კარი დიდაა. 5. სოფელში მათ კარგი ცხენი ჰყავთ. 6. თქვენი ცხელი ჩაი არ არის ტკბილი. 7. თქვენს ბაღში კარგი წითელი ვარდებია. 8. სად არის ჩემი ვაჟის წერა? 9. ჩემი ქალიშვილის მწვანე ფანქარი აქ არის. 10. მისი გაკვეთილი ადვილი არ არის. 11. მამაშენი სახლში არ წასულა (არ წავიდა). 12. ის ქალიშვილი სოფელში წავიდა. 13. იმ ვაჟს წიგნი არ ჰქონდა.

გაკვეთილი № II

ენკლიტიკიანი კონსტრუქცია

სპარსულ ენაში კუთვნილების გამომხატვა შეიძლება ნაც, აღსახელობითი სუფიქსების, ანუ ენკლიტიკების საშუალებითაც:

იზაფეტური კონსტრუქცია

ენკლიტიკიანი კონსტრუქცია

ქნობზე	<u>მპნ</u>	ქნობბმ
ქნობზე	<u>თო</u>	ქნობბთ
ქნობზე	<u>უ</u>	ქნობბუ
ქნობზე	<u>მა</u>	ქნობზემან
ქნობზე	<u>შომპ</u>	ქნობზეთან
ქნობზე	<u>ანჰან</u> (იზან)	ქნობზეზან

მაგალითები:

ფედრე შომპ ქოჯასთ? - ფედრეთან ქოჯასთ?

დობთბრე მანჰინჯასთ - დობთბრე მანჰინჯასთ.

იმავე სუფიქსებით გამოხატავენ ობიექტს (დაწვრილებით იხ. გაკვეთილი №18)

დრმბმუ - მე მაქვს (მყავს) იგი.

სბრდუ ასთ - მას სცივა

დავალეზა №12. თარგმნეთ სპარსულად (ინტონაციის მრუდის, მახვილისა და ჰაუზის ნიშნების აღნიშვნით), პარალელურად გამოიყენეთ იზაფეტური და ენკლიტიკიანი კონსტრუქციები.

1. სად არის შენი ცხენი? 2. ჩემი ცხენი სოფელშია.
3. სად არის მისი ღვინო? 4. მისი ღვინო ოთახშია.
5. თქვენი ვაშლი ტკბილია. 6. მათი კალათი დიდია.
7. მათი ოთახის კარი პატარაა. 8. მათი ფაფა არ არის ცხელი.
9. მამაშენის კარგი კალამი აქ არ არის.
10. სად არის თქვენი შავი ფანქარი? 11. თქვენი ქალაქის ბაზარი კარგია.
12. მისი საქმე ძნელია. 13. თქვენი ტკბილი ჩაი კარგია.
14. ჩვენი მწვანე ქალაქი კარგია. 15. თქვენი უფროსი ვაჟი წავიდა.
16. ეს კაცი თქვენი სოფლიდან მოვიდა. 17. ჩვენ გვცივა.

დაიმახსოვრეთ! ენკლიტიკას, ისევე როგორც იზაფეტის

მაჩვენებელ ე-ს, მახვილი არ მოუდის. ხმოვანზე დაბოლოებულ სიტყვასა და ენკლიტიკას შორის (მრავლობით რიცხვში) ჩნდება ა: ნამქვამ, ნამქვამ, ნამქვამ, ნამქვამან, ნამქვამან, ნამქვამან.

გაკვეთილი №12

სახელთა მრავლობითი რიცხვი

სპარსული ენა მრავლობით რიცხვს მრავალნაირად გამოხატავს. ამჟერად საკმარისია გაცეცნოთ მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ ორ სუფიქსს: - ჰა, - ან. თანამედროვე სალიტერატურო სპარსულში უფრო ხშირად გამოიყენება - ჰა სუფიქსი:

სიბ - სიბჰა - ვაშლები; სიბჰაჟე შომან // სიბჰაჟეთან - თქვენი ვაშლები. პს - პსჰა - ხელჯობები; პსჰაჟე შომა // პსჰაჟეთან - თქვენი ხელჯობები. პსბ - პსბჰა - ცხენები; პსბჰაჟე შომან // პსბჰაჟეთან - თქვენი ცხენები. მპრდ - მპრდჰა - კაცები; მპრდჰაჟე მა // მპრდჰაჟეთან - ჩვენი კაცები. ჩაყ - ჩაყჰა - დანები (ჯაყები); ჩაყჰაჟე შომან // ჩაყჰაჟეთან - თქვენი დანები.

სპარსულ ენაში . ა და უ ხმოვნებზე დაბოლოებული სულიერი საგნის აღმნიშვნელი სახელები - ან სუფიქსით მრავლობითი რიცხვის ფორმის წარმოებისას ირთავენ ა-ს:

გედან - მათხოვარი > გედანან - მათხოვრები

დანეშუ - სტუდენტი > დანეშუან - სტუდენტები

ზოგჯერ ხმოვანთგასაყარად გვევლინება უ თანხმოვანი:

ბანუ - ქალბატონი > ბანუან - ქალბატონები

დავამახსოვროთ, რომ ე-ზე დაბოლოებული სულიერი საგნების აღმნიშვნელი სახელები მრავლობითი რიცხვის ფორმას აწარმოებენ გან ელემენტის დარღვივით:

ნევისანდ - მწერალი > ნევისანდგან - მწერლები

ბანდქ - მონა > ბანდქან - მონები

ზოგჯერ გარკვეული სტილისტური ელფერის მისაცემად თანამედროვე სალიტერატურო სპარსულში - ჰა სუფიქსით წარმოებული მრავლობითის ფორმის გვერდით გვხვდება - ან-იანი ფორმა:

მპრდან - კაცები (იგულისხმება „ვაჟკაცები“, „თავდადებულნი“).

- ან სუფიქსი კლასიკურ სპარსულში ერთვოდა მხოლოდ სულიერი საგნების აღმნიშვნელ სახელებს.

დავალება №13. თარგმნეთ სპარსულად (ინტონაციის მრუდის, მახვილისა და პაუზის ნიშნების აღნიშვნით):

1.სად არის ამ ქალის დიდი დანები? 2.ამ ქალის დიდი დანები ოთახშია. 3.ის ბიჭები საიდან მოვიდნენ? 4.ის ბიჭები სოფლიდან მოვიდნენ. 5.საიო წავიდნენ ეს გოგონები? 6.ეს გოგონები ქალაქში წავიდნენ. 7.თქვენი ვაკვეთილები ძნელია. 8.თქვენი კარგი შავი ფანქრები აქ არის. 9.მათი დიდი მაგიდები აქ არ არის. 10. წითელი ვაშლები ბაღშია. 11.ჩვენი სტუდენტები სახლში წავიდნენ. 12.ის კაცები სოფელში წავიდნენ. 13.მათი ვაჟები აქ მოვიდნენ. 14.თქვენი კალათები იმ ოთახშია. 15.ამ გოგოს დიდი თვალები აქვს.

დაიმახსოვრეთ! იზაფეტური კონსტრუქციის მრავლობითში დასმული წევრი არ ითანხმებს მეორე წევრს რიცხვში:

ქეთაბჰაჰე ხუბ

კარგი წიგნები (რუსულში კი - хорошие книги)

გაკვეთილი № 13

ზმნების აწმყო დროის ფორმების წარმოება

ჩვენ ვიცით, რომ ზმნების ფორმების წარმოები-

სას მთავარი ვიცოდეთ ნამყო დროისა და აწმყო დროის ფუძეები. სპარსულში ზმნის განუსაზღვრელი ფორმა (ინფინიტივი) ბოლოდება - ბნ ელემენტით. საკმარისია ზმნის განუსაზღვრელ ფორმას ჩამოვაშოროთ - ბნ ელემენტი, რომ მივიღოთ ნამყო დროის ფუძე. აწმყო დროის ფუძის მიღება რთულია. ზოგ შემთხვევაში იგი მიიღება განუსაზღვრელი ფორმისაგან - თბნ /- დბნ დაბოლოების ჩამოშორებით, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ამა თუ იმ ზმნის აწმყო დროის ფუძე დასაზეპირებელია.

<u>ინფინიტივი</u>	<u>ნამყოს ფუძე</u>	<u>აწმყოს ფუძე</u>
„მოტანა“ - აცბრდბნ	აცბრდ	აცბრ
„მოსვლა“ - ამბდბნ	ამბდ	ამ
„შეცვრა“ - ბბსთბნ	ბბსთ	ბბნდ
„ადება, დაჭერა“ - გერეჭთბნ	გერეჭთ	გრრ
„თქმა“ - გოჭთბნ	გოჭთ	გუ
„მიცემა“ - დადბნ	დად	დეჭ
„წერა“ - ნეცეშთბნ	ნეცეშთ	ნეცრს
„დაცემა, ჩამოცარდნა“ ოჭთაბნ	ოჭთაბ	ოჭთ
„წასვლა“ - რბჭთბნ	რბჭთ	რბგ (რრუ)
„კეთება“ - ქბრდბნ	ქბრდ	ქონ
„ჭამა, „სმა“ - ხორდბნ	ხორდ	ხორ
„გაგზავნა“ - ჟერესთაბნ	ჟერესთაბ	ჟერესთ

აწმყო დროის ფორმების წარმოებისას ჩვეულებრივ იხმარება მახვილიანი მი-პრეფიქსი:

ამბდბნ - აწმყოს ფუძე - ამ -

<u>მრამბ</u>	მოვდივარ	<u>მრ</u> ამიმ	მოვდივართ
<u>მრამბ</u>	მოდიხარ	<u>მრამბ</u>	მოდიხართ
<u>მრამბდ</u>	მოდიხ	<u>მრამბდ</u>	მოდიხან

უარყოფითი ფორმები :

<u>ნებრაჰმ</u>	არ მოვდივარ	<u>ნებრაჰიმ</u>	არ მოვდივარ
<u>ნებრაჰი</u>	არ მოდიხარ	<u>ნებრაჰიდ</u>	არ მოდიხარ
<u>ნებრაჰდ</u>	არ მოდის	<u>ნებრაჰდნდ</u>	არ მოდის

დავალება №14. აუღლეთ აწმყოსა და ნამყო წყვეტილის (დადებითი და უარყოფითი) ფორმები ზმნებისა- გან I. გ-ერეჰტან, 2. ნევეშან, 3. ხორდან.

დავალება №15. თარგმნეთ სპარსულად (ინტონაციის მრუდის, მახვილისა და პაუზის ნიშნების აღნიშვნით) :

1. ის სტუდენტები აქედან წავიდნენ. 2. ჩვენ სოფელში მივდივარ. 3. იმ გოგომ ვაშლი ჭამა. 4. მამარემ-მა წერილი გაგზავნა. 5. სტუდენტები სოფლიდან ჩამოვიდნენ (მოვიდნენ). 6. მათ ღვინო დალიეს (ჭამეს). 7. თქვენ ჩვენს ბაღში (ბაღიდან) მოხვედით. 8. თქვენ საიდან მოდიხარ? 9. თქვენ საი მიდიხარ? 10. თქვენ-მა მამამ წერილი დაწერა. 11. მე იგი დავიჭირე. 12. მოცივებანე აქ.

დარიმახსოვრეთ! ზმნის განუსაზღვრელი ფორმა (ინფინიტივი) შეიძლება გამოყენებულ. იქნეს არსებითი სახელის ფუნქციით:

გოჰთან ასან პსთ, ქანდან დოშვან პსთ.

თქმა (ლაპარაკი) ადვილია, გაკეთება - ძნელი.

გაკვეთილი №14

„ყოფნა“ ზმნის ფორმები

ჩვენ უკვე ვისწავლეთ სიტყვა პსთ - არის(ნისთ- ნან + პსთ; ჩისთ? ღი + პსთ?; ქისთ < ქი + პსთ?).

ამ ზმნის განუსაზღვრელი ფორმაა ბუდან - „ყოფნა“

ნამყო წყვეტილის ფორმები :

ბუნდამ	ბუნდომ
ბუნდი	ბუნდიდ
ბუნდ	ბუნდანდ

აწმყო დროის ფუძეები - ჰესთ, ბაშ:

ჰესთამ	ჰესთომ	მინბაშამ	მინბაშომ
ჰესთი	ჰესთიდ	მინბაში	მინბაშიდ
ჰესთ	ჰესთანდ	მინბაშანდ	მინბაშანდ

კოპულას სახით ამ ზმნიდან:

- ბმ	- იმ
- ი	- იდ
- ბსთ	- ბანდ

ქარგპრ-ბმ - მუშა ვარ	ქარგპრ-იმ - მუშები ვართ
ქარგპრ-ი - მუშა ხარ	ქარგპრ-იდ - მუშები ხართ
ქარგპრ-ბსთ - მუშა არის	ქარგპრ-ბანდ - მუშები არიან
მან-ბმ - მე ვარ	მან-იმ - ჩვენ ვართ
თრ-ი - შენ ხარ	შომან-იდ - თქვენ ხართ
უსთ(←უსთ)-ის არის	ანჰან-ბანდ - ისინი არიან

წაკითხეთ და თარგმნეთ:

1. მინბაშამ რა მუშა აკეთებს? 2. დამ რა ხანაში ვარ? 3. თრ-ი? 4. მან-ბმ. 5. შომან ქოჯა ჰესთიდ? 6. მან იმ? 7. მინ რისა? 8. მინ მანდანდ ბსთ. 9. მინ ნამე ბმ თრ-ის ბსთ? ნა, ბზ მისქო.

დავალეზა №16. თარგმნეთ სპარსულად (ინტონაციის მრუდის, მახვილისა და პაუზის ნიშნების აღნიშვნით):

1. ის კაცი მამარეში იყო. 2. ჩვენ ბაღში ციყავით. 3. მე თქვენი სტუდენტი ვარ. 4. ის გოგონა თქვენი სტუდენტი არ არის. 5. თქვენი გაკვეთილი ადვილია. 6. სად არის ის დიდი მწერალი? 7. მას დრო არ ჰქონდა, იგი წავიდა. 8. დედათქვენი იქ იყო. 9. თქვენი

ჩაი ტკბილი იყო. IO.შენ კარგი ბიჭი ხარ. II.შენ კარგი ხარ. I2.მისი დიდი სინი ოთახში იყო.

გაკვეთილი №15

რაოდენობითი რიცხვითი სახელები

ვმ - და კავშირი

რიცხვითი სახელებია:

სეჭრ	0	აზღაპ	11
აქ	1	ღვაზღაპ	12
დო	2	სიზღაპ	13
სე	3	ჩაპაღაპ	14
ჩაპა	4	ფაზღაპ	15
ფაზ	5	შაზღაპ	16
შე	6	ჭეღაპ	17
ჭა	7	ჭეღაპ	18
ჭა	8	ნეზღაპ	19
ნა	9	ბისა	20
და	10		

„ოცდაერთი“ და ა.შ. იწარმოება ვმ - და კავში- რის მეშვეობით: ბისა ვმ აქ, რომელიც აუცილებლად უნდა წარმოთქვათ ბისთააქ.

ათობითი რიცხვითი სახელები:

და	10	შასა	60
ბისა	20	ჭა	70
სი	30		
ჩე	40	ჭა	80
ფა	50	ნა	90
		სა	100

სალიტერატურა სპარსულში ერთი მთლიანი ცნების გადმოცემისას ვმ კავშირი გამოითქმის ლ-დ:

ფედერაცია
ფედერაციის

მამა და დედა
მშობლები

ბიძა და ძმები
ბიძაძე

ოცნება და ხელი
ოცნებები

რძე და ძმები
რძეები

წავიდა და მოვიდა
მიმოსვლა

დაცემა №17. თარგმნეთ სპარსულად (ინტონაციის
მრუდის, მახვილისა და პაუზის ნიშნების
აღნიშვნით):

I. ოთხი სტუდენტი ქალაქში წავიდა. 2. იმ დღე
ქალაქში სამი ბაზარია. 3. მან ბაღიდან ათი წითელი
ვარდი მოიტანა. 4. თქვენი ორი დიდი სინი ოთახშია.
5. მათ ოთხი შავი ფანქარი აქვთ. 6. მისი წითელი ფან-
ქრები აქ არის. 7. იმ კაცს სახლში ოთხი დიდი მაგიდა
აქვს. 8. მე იმ ქალისაგან ხუთი წერილი მივიღე. 9. სა-
იდან საით მიდიხარ? 10. იმ სოფელში ოთხმოცი ცხენია.
II. მე თორმეტი მწვანე ფანქარი მაქვს. 12. მე ამ ქა-
ლაქის ორ ბაზარში ვიყავი.

დაიმახსოვრეთ! როცა მსაზღვრელად რიცხვითი სახელი
გვევლინება, საზღვრული მხოლოდით რიცხ-
ვში იხმარება:

სე მარდ - სამი კაცი
დო ქედაზ - ორი წიგნი

საკონტროლო წერა

თარგმნეთ სპარსულად:

I. ის ოთხი სტუდენტი თქვენს სახლში წავიდა.
2. იმ ქალმა ორი ტკბილი ვაშლი მისცა გულნარას. 3. მა-
მარემი სოფლიდან ჩამოვიდა. 4. თქვენი უფროსი ვაჟი-

ვილი დიდ ოთახშია. 5.ჩემმა ქალიშვილმა ცხელი ფაფა მოიტანა. 6.იმ ბიჭმა ორი წერილი დაწერა. 7.მათ თხუთმეტი მწვანე ფანქარი აქვთ. 8.ის დიდი მწერალი ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა (მოვიდა). 9.იგი აქედან იმ სოფელში წავიდა. 10.ისინი საიდან მოდიან? 11.თქვენ ტკბილ ჩაის სვამთ (ჭამთ). 12.იმ ქალიშვილს კარგი სახლი არ აქვს.

გაკვეთილი №16

რიგობითი რიცხვითი სახელები

რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება რაოდენობითის ფორმაზე -ომ სუფიქსის დართვით:

- | | | | | | |
|---------|---|--------|------------|----|-------------|
| ჩაჭარ | - | ოთხი | ჩაჭარომ | - | მეოთხე |
| ბისთოდრ | - | ოცდარო | ბისთოდრაომ | // | ბისთოდრ-გომ |
| | | | | - | ოცდამეორე |

წილობითი რიცხვითი სახელის წარმოება:

- | | | | |
|------|---------|---|----------------|
| აქე | ჩაჭარომ | - | ერთი მეოთხედი |
| ფანჯ | შეშომ | - | ხუთი მეექვსედი |

ისწავლეთ ნუმერატივები:

- | | | |
|-------|---|-------------------|
| ნაჭარ | - | სული |
| ადა | - | ცალი |
| რაცს | - | თავი (სული) |
| ჯოჭთ | - | წყვილი |
| დასთ | - | ხელი |
| ნოსხრ | - | ცალი (იგზემპლარი) |

დო ნაჭარ ადა	ორი სული ადამიანი
სე ადა მად	სამი ცალი ფანქარი
შეშ რაცს გუსაქნ	ექვსი სული ცხვარი
აქე ჯოჭთ ქაქ	ერთი წყვილი ფეხსაცმელი

დო დასთ ქოთოშაღვარ
სე ნოსხტ ქედაბ

ორი ხელი კოსტიუმი
სამი ეგზემპლარი წიგნი

ისწავლეთ ზომა-წონის ერთეულები:

გრამ - გრამი	ხარვარ-წონის ერთეული-300კგ.
სირ-წონის ერთეული-75გ.	თონ - ტონა
ქილოგრამ - კილოგრამი	ლითრ - ლიტრი
მან-წონის ერთეული-3კგ	

მილიმეტრ - მილიმეტრი	ქილომეტრ - კილომეტრი
სანთიმეტრ - სანტიმეტრი	მეტრე მორბაბჟ-კვადრატული მეტრი
მეტრ - მეტრი	მეტრე მოქაბაბ - კუბური მეტრი

დროის ერთეულები:

სანიჯე - წამი	შაბანერუბ - დღე-ღამე
დაყიყე - წუთი	ჰაბთე - კვირა
საჟანთ - საათი	მაჰ - თვე
რუბ - დღე	სალ - წელი
შაბ - ღამე	

დაცალება №18

თარგმნეთ სპარსულად (ინტონაციის მრუდის, მახვილისა და ბაუზის ნიშნების აღნიშვნით):

1. მამარემმა ორი წყვილი ფეხსაცმელი მოიტანა.
2. მათი სამი ხელი კოსტიუმი ოთახში არის.
3. ოცდაათი (სული) სტუდენტი ქალაქიდან ჩამოვიდა.
4. ჩემმა ცაჟმა ექვსი ეგზემპლარი წიგნი მოიტანა.
5. მათ რვა კილოგრამი ცაშლი გაგზავნეს.
6. თქვენი დიდი ოთახი ოცდაათი კვადრატული მეტრია.
7. მათ სამი საათი დრო აქვთ.
8. ერთი „სირი“ ჩაი მქონდა.
9. თქვენი ოცდახუთი შავი ფანქარი იქ არის.
10. მე სამი წერილი დავწერე.
11. ორი ცაშლი ჩქიდან ჩამოვტარდა.
12. ბიჭ-

მა ორი ლიტრი ცივი ღვინო მოიტანა.

გაკვეთილი № 17

-ღ სუფიქსის ძირითადი ფუნქციები

სპარსულ ენაში იხმარება -ღ სუფიქსი, რომელიც მრავალ ფუნქციას ასრულებს.

ა) უმახვილო -ღ სუფიქსი აღნიშნავს განუსაზღვრელობას, „ერთვინმეობას“ ან „ერთრამეობას“:

მწრღი # დობთწრ დაწო - ერთ კაცს (ვიღაც კაცს) ქალიშვილი ჰყავდა.

უწნამეღ ქერესაღ - მან ერთი წერილი გაგზავნა.

გეღწი # ამეღ - ერთი მათხოვარი მჩვიდა.

ბ) მახვილიანი -ღ სუფიქსი აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს:

მწრღ - კაცი

მწრღი - კაცობა

გეღწი - მათხოვარი

გეღწი - მათხოვრობა

ბოზორგ - დიდი

ბოზორგი - სიდიადე, დიდება

მწრღი # ხუბ წსთ - კაცობა კარგია

გეღწი # ბეღ წსთ - მათხოვრობა ცუდია

გ) მახვილიანი -ღ სუფიქსი აწარმოებს წარმომავლობის აღმნიშვნელ სახელებს:

დანეშგაჰ - უნივერსიტეტი დანეშგაჰი - უნივერსიტეტელი (უნივერსიტეტული)

შეჰრ - ქალაქი შეჰრი - ქალაქელი (ქალაქური)

თეჰრან - თეირანი თეჰრანი - თეირანელი (თეირანული)

დ) -ღ სუფიქსს ენიჭება განმსაზღვრელი ნაწივარის ფუნქცია, თუ იგი ერთვის სახელს და მას შესაქმნის მი-

მართებითი ნაცვალსახელი ქვე:

მწარღ ქვე ამწდ, ფედარე შომამ ბუდ.

კაცი, რომელიც მოვიდა, თქვენი მამა იყო.

ბე შმწრღ ქვე შირწვიმ, მოსქოუ ვსთ.

ქალაქი, რომელიც მივდივართ, მოსკოვია.

წაკითხეთ და თარგმნეთ:

→ I. დანეშუაშან # დარ დანეშგან ბუდწდ. 2. ესტა -
შან # შმწრი დარ ირწნ ვსთ. 3. უწმექ სინი სიბ ვან დო
ქილრ შექწარ დად. 4. ინ მწრდ # ქარტგ წარ ბუდ. 5. როსთამ
ვან გოლწარ # დანეშუაშან-წდ. 6. ზანწა # ბე ბაწარ რაწ-
თწდ. 7. ნევისწანდევანწდარ ოთაყე ბოზარტ ვწსთწდ.
8. მწრდი ქვე ამწდ # ნევისწანდევან წისთ. 9. ან მწრდ # სვე ფე-
სწარ დარწდ. 10. შმწრი ქვე დარ ან ვწსთიმ # თებილი-
სწსთ.

დავლება № 19. თარგმნეთ სპარსულად (ინტონაციის
მრუდის, მახვილისა და პაუზის ნიშნების
აღნიშვნით):

I. რა მოიტანა დედამ? 2. დედამ ორი კილო ვაშლი
მოიტანა. 3. იმ ბიჭებმა რა მოიტანეს? 4. იმ ბიჭებმა
სამი კილო შაქრის ფხვნილი მოიტანეს. 5. კაცი, რომელიც
მოვიდა, თქვენი მამა იყო. 6. დიდი სინი, ოთახში
რომ იყო, სად არის? 7. გულწარას წიგნი და ფანქარი
აქვს. 8. ცხენი, რომელიც ბადში იყო, სად არის? 9. ის
ორი წყვილი ფეხსაცმელი, მამაშენმა რომ მოიტანა, ვის
მიეცი? 10. ის თეიჩანელი კაცი სად წავიდა? II. ეს
მუშაა სახლია. 12. თქვენი ბინა (სახლი) სამოცი
კვადრატული მეტრია.

დაიმახსოვრეთ! თუ სახელი უ-ზე ბოლოვდება, -ღ-სუფიქ-
სიანი აბსტრაქტული სახელი იწარმოება

გ-ს ჩართვით:

ნევისპანდრე - მწერალი

ნევისპანდრეტი - მწერლობა

გაკვეთილი №18

ბზ, ბა, ბე, ბპრადე წინდებულები და რა თანდებული

წინადადების წევრთა შორის მიმართებათა გამო-
ხატვისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინდებულებსა
და თანდებულებს.

ბზ წინდებული თა წინდებულთან კომბინაციაში უტოლ-
დება ქართულ -დან -მდე თანდებულებს:

ბზ ან ვწყთ თა ჰალა იმ დროიდან დღევანდლამდე

ბზ სობჰ თა შპბ დილიდან საღამომდე

ბა წინდებული უტოლდება ქართული ენის -თან თან-
დებულსა და მოქმედებითი ბრუნვის ნიშანს:

ბა მან ამან ჩემთან ერთად მოვიდა.

ბა ყალბ ნეცეშთ კალმით დაწერა

ბე წინდებული უტოლდება ქართული ენის -კენ და -ში
თანდებულებსა და მიცემითი ბრუნვის ნიშანს:

ბე ხანრ რაჭთ სახლისკენ (სახლში) წავიდა

ბე მარდ გოჭთ კაცს უხარა

ბპრადე წინდებული უტოლდება ქართული ენის -თვის
თანდებულს:

ბპრადე თო(ბპრადეთ) ავარდამ შენთვის მოგიტანე

რა თანდებული აფორმებს პირდაპირ ობიექტს (რომლის
შესახებ ჩვენ გარკვეული ინფორმაცია გვაქვს)

როსტომ # ნამე ნევეში - როსტომმა დაწერა წერილი
(რომლის შესახებ ჩვენ არა-
ფერი ვიცით).

როსტომ # ნამე ნევეში - როსტომმა (ერთი, რაღაც) წე-
რილი დაწერა.

როსტომ # ნამე რა ნევეში - როსტომმა დაწერა წერილი
(ჩვენ ვიცით, ეს რა წერილია).

გოლნარ ნან მიხორდ - გულნარა (საზოგადოდ) ჭამს
პურს.

გოლნარ ნან რა მიხორდ - გულნარა ჭამს პურს (ჩვენ
ვიცით, ეს რა პურია).

წაკითხეთ და თარგმნეთ:

I. მა#პზ დეჰ ამდღი. 2. ინ ნამე რა # ბა ყბღმ
ნევეშიანდ. 3. მადნკმ ბე შომს ჩი გოტ? 4. ან ფე-
სპრკა#მიზ რა პზ ხანე ავბრდნდ. 5. ქეთბი რა, ქე ბე
თო დდმ, ჭერესთადი? 6. ზნკაქდარ რა ბსსანდ.
7. შომს პზ ქოჯან ამდღი? 8. თა ან რუზქდარ შპრ ბუ-
დმ. 9. ნამე რა ბე ქი ნევეშიი? 10. ბე ფედრე შო-
მს. II. მანჭბა ყბღმ ნევეშიანდ, თოჭბა მადანდ. 12. ინ
შნკპ რაჭბარქე თო ჭერესთადნდ.

დავალეზა №20. თარგმნეთ სპარსულად (ინტონაციის
მრუდის, მახვილისა და პაუზის ნიშნების
აღნიშვნით):

1. ის წერილი შენ ფანქრით დაწერე. 2. დედაჩემ-
მა ცხელი პური შენ მოგცა. 3. საიდან არის ეს წერი-
ლი? 4. რა გააკეთეს ქალბებმა ბაზარში? 5. სად არის

* რა თანდებულის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს ენკ-
ლიტიკამ:

უ რა დრდი? იგი ნახე? დიდმპშ = უ რა დრდმ -

ან რა ხორდი? ის ჭამე? ხორდმპშ = ან რა ხორდმ -
ის მჭამე

გულნარა? 6. აქედან თქვენს სახლამდე ოთხმოცდათხუთ-
 მეტი კილომეტრია. 7. ის გოგო დიდიდან საღამომდე ბაღ-
 ში იყო. 8. მათ შენი წიგნი მე მომცეს. 9. ის წითელი
 ვაშლი შენ შეჭამე. 10. მან მათი წერილი მე მომცა.
 11. ეს ღვინო საიდან მოიტანე? 12. როსტომმა ეს წიგნი
 თქვენთვის გამოგზავნა (გაგზავნა). 13. ეს მაგიდა
 თქვენი ოთახისთვის არის. 14. თქვენი დედა აქედან
 სახლში წავიდა.

გაკვეთილი №19

ბრძანებითი კილო

ზმნის ბრძანებითი კილოს მხოლოდითი რიცხვი
 იწარმოება აწმყო დროის ფუძისაგან მახვილიანი ბე -
 პრეფიქსის დართვით:

ქბრდბნ - კეთება ქონ-->ბქონ - გააკეთე
 დაშბბნ - ქონება დარ-->ბდარ - იქონიე

ბრძანებითი ფორმის მრავლობითი რიცხვის მისა-
 ღებად მხოლოდითის ფორმას უნდა დაერთოს -იდ სუ-
 ფიქსი:

ბქონ - გააკეთე ბქონიდ - გააკეთეთ

ისწავლეთ სიტყვები და შესიტყვებები

ზემესტან - ზამთარი -ბარ) - ბარდნა, წვიმის
 ჰბვბ - ჰაერი, ჰავა, ამინდი მოსვლა
 შოდბნ - (აწმყო დრ. ფუძე - ქუჰესტან - მდიანეთი
 შბვ/ შოჰუ მბხ - ყინული
 - გახდომბ, დამართვა ზიხბდ - ბევრი
 (статья) ფბს ბზ - შემდეგ (после)
 ბარბნ - წვიმა ბბჰბრ - გაზაფხული
 ბბრჩ - თოვლი დერბბთ - ხე
 ბარბდბნ - (აწმყო დრ. ფუძე ყბბლ ბზ - მდე (до)

წიკითხეთ და თარგმნეთ:

დარ ზემესთან^წქვან^წ სარდ მრზანად. ბარან ვა ბარაქ^წ
მრზანად. დარ ქუქესთან^წქვან^წ ვა მახ ზიანად^წ სსთ. ფან
ვა ზემესთან^წქვან^წ მრზანად. დერანთ^წქვან^წ სსა^წ მრზანად.

დავალება №21. თარგმნეთ სპარსულად (ინტონაციის მრუ-
დის, მახვილისა და პაუზის ნიშნების აღნიშ-
ვნით):

1. მე თქვენ შემდეგ მოვედი.
2. გაზაფხულზე (გა-
ზაფხულში) ჩვენი დიდი ბაღი კარგია.
3. ჩვენს ბაღში
ბევრი ხე დგას (არის).
4. სოფელში ჩვენ დიდი ბაღი
გვაქვს.
5. ჩვენს ქალაქში თოვლი მოვიდა.
6. მე შენს
მოსვლამდე მოვედი სახლში.
7. ჩვენი ქალაქის შავა კარ-
გია.
8. ჩვენი სახლის ბიჭები და გოგონები სტუდენტე-
ბი (სტუდენტი) გახდნენ.
9. ჩვენს მთებში ხე ბევრია.
10. ყინული ცივია.
11. თქვენი ფეხსაცმელები თბილია.
12. თქვენს ბაღში ხეები ამწვანდნენ (მწვანედ იქცნენ).
13. ეს წითელი ვარდი მამათქვენის ბაღიდან მოვიტანე.
14. გაზაფხულზე (გაზაფხულში) ჩვენი მთები მწვანეა.

გაკვეთილი №20
რთული ზმნები

სპარსულში უხვად არის წარმოდგენილი ისეთი შე-
ერთებანი, რომელთა პირველი კომპონენტი სახელია, ხოლო
მეორე - დამხმარე ზმნა:

ქარ-საქმე + ქარდან - კეთება -> ქარ ქარდან - საქ-
მის კეთება, მუშაობა
ფიქრ-ფიქრი + ქარდან - კეთება -> ფიქრ ქარდან - ფიქრი, გა-
ფიქრება
თაქსირლ-შეძენა + ქარდან - კეთება -> თაქსირლ ქარდან - სწავ-
ლა, განათლების მიღება

დ^არს-გაკვეთილი+დად^ენ-მიცემა->დ^არს დად^ენ-სწავლება,
 მასწავლებლობა
 ზ^ეშ^ემ^ენ-გარჯა+ქ^ეშ^ეი^ედ^ენ-წივა,თრევა->ზ^ეშ^ემ^ენ ქ^ეშ^ეი^ედ^ენ-
 გარჯა, შრომა
 პ^ენ^ერ^ე-სიტყვა+ზ^ედ^ენ-ცემა, დარტყმა->პ^ენ^ერ^ე ზ^ედ^ენ-ლაპა-
 რაკი, უბნობა
 ზ^ემ^ენ-მიწა+ხორდ^ენ-ჭამა->ზ^ემ^ენ ხორდ^ენ-დაცემა, და-
 ვარდნა
 მად-მეხსიერება+გ^ერე^ეფ^ეთ^ენ-დაჭერა->მად გ^ერე^ეფ^ეთ^ენ -
 სწავლა, შესწავლა

რთულ ზმნებში მხოლოდ მეორე კომპონენტი იუღლება:

მ ^ე ნ ქ ^ე რ მ ^ე რ ^ე ქონ ^ე ბ ^ე	მა დ ^ა რს მ ^ე რ ^ე დ ^ე ჟ ^ი მ
თ ^ე მ ქ ^ე რ მ ^ე რ ^ე ქონ ^ე	შ ^ე მ ^ე ნ ზ ^ე შ ^ე მ ^ე ნ მ ^ე რ ^ე ქ ^ე შ ^ე ი ^ე
უ ^ნ ა ^ე ნ ^ე რ ^ე მ ^ე რ ^ე ქონ ^ე ბ ^ე	ან ^ე შ ^ე პ ^ე ნ ^ე რ ^ე მ ^ე რ ^ე ქონ ^ე ბ ^ე

მ ^ე ნ ქ ^ე რ ქ ^ე რ ^ე დ ^ე ბ ^ე	მა დ ^ა რს დ ^ა დ ^ე მ
თ ^ე მ ქ ^ე რ ქ ^ე რ ^ე დ ^ე	შ ^ე მ ^ე ნ ზ ^ე შ ^ე მ ^ე ნ ქ ^ე რ ^ე დ ^ე
უ ^ნ ა ^ე ნ ^ე რ ^ე ქ ^ე რ ^ე დ ^ე	ან ^ე შ ^ე პ ^ე ნ ^ე რ ^ე ზ ^ე დ ^ე ნ ^ე

უარყოფითი ფორმები:

მ ^ე ნ ქ ^ე რ ნ ^ა მ ^ე რ ^ე ქონ ^ე ბ ^ე	მ ^ე ნ ქ ^ე რ ნ ^ა ქ ^ე რ ^ე დ ^ე ბ ^ე
--	--

ბრძანებითის ფორმები:

თ ^ე მ ქ ^ე რ ბ ^ე ქ ^ე ნ ^ე	შ ^ე მ ^ე ნ ქ ^ე რ ბ ^ე ქ ^ე ნ ^ე ი ^ე
--	--

ისწავლეთ სიტყვები:

ბ ^ე რ ^ე ბ ^ე რ ^ე - ბუბარი	ნ ^ე მ ^ე ქ ^ე თ - მერხი
გ ^ე რ ^ე - ცარი	ს ^ე ნ ^ე დ ^ე ლ ^ე რ - სკამი
ზ ^ე ბ ^ე ნ - ენა	ფ ^ე ნ ^ე ჯ ^ე რ ^ე - ფანჯარა
თ ^ე ბ ^ე თ ^ე - ფიცარი, დაფა	ქ ^ე ლ ^ე ნ ^ე ს - კლასი, საკლასო ოთახი
თ ^ე ბ ^ე თ ^ე ფ ^ე ქ ^ე რ ^ე ნ - ჩვარი (და- ფის გასაწმენდი)	

წიკითხეთ და თარგმნეთ:

მაქდარ დანეზგაჲ თჳსსრლ მრქონიმ. მან ჯ დანეზ-
ჯუჲე სნლე დოვრმ ჰსსთამ. მაქზბანე ჭარსრ მად მრგირ-
იმ. ინჯაქქელსე დარსე მასთ. ქელსე მაქდნვაზდჳ ნიმ-
ქნთ, აექ მიზ, აექ სნდნლრ ვმ აექ თბხთეჲე სიმამჳ დნ-
რად. ქელსე მაქაექ დარ, სე ფნჯარე ვმ აექ ბოხარ
დარად. ინქტარ ვსთ ვმ ინქთბხთეფაქქრნ. ოსთადე ზბანე
ქარსრქვე მა დარს მრდეჰნდ. მა ჯ ბარაჲე მად გერეჲ-
თნე. ზბანე ჭარსრ ზიმად ქარ მრქონიმ ვმ ზჳჰმნთ მრ-
ქეშიმ.

დავლება №22. აუღლეთ აწმყოსა და ნამყო წყვეტილის
ფორმები ზმნებისაგან „ზმინ ხორდნ“
(დაღებითი) და „მად გერეჲთნ“ (უარყოფითი)

დავლება №23. თარგმნეთ სპარსულად (ინტონაციის
მრუდის, მახვილისა და პაუზის ნიშნების
აღნიშვნით):

√ I. როსტომი და გულნარა უნივერსიტეტში სწავლო-
ბენ. 2. მათს სასწავლო ოთახში ოცდაოთხი მერხია.
3. ჩვენს სახლში ბუხარი არ გვაქვს. 4. იგი ჩემ შემ-
დეგ წავიდა უნივერსიტეტში. 5. თქვენი დიდი ოთახის
ბუხარი ცხელია. 6. თქვენი სახლის პატარა ოთახში ერთი
დიდი მაგიდა და ექვსი სკამი დგას (არის). 7. ის ზა-
ვი დაფა აქ მოიტანეს. 8. მათი სახლის ფანჯრები
დიდია. 9. ის ქალი ბევრს ფიქრობს. 10. ის ბიჭი ბევრს
არ ლაპარაკობს. 11. ის, მუშები ჩვენს სახლში მუშაო-
ბენ. 12. თქვენ ნუ ლაპარაკობთ.

დაიმახსოვრეთ! „თჳსსრლ ქარდნ“ აღნიშნავს „განათ-
ლების მიღებას“, ხოლო „მად გერეჲთნ“ -
(კონკრეტული საგნის) „სწავლას“.

მან დარ დანეშგაჰ თჷჰსილ მიქონჷმ ვა დარ ანჯა ზა-
ბანე ჭარსი დად მიგირჷმ.

საკონტროლო წერა

თარგმნეთ სპარსულად (ინტონაციის მრუდის,
მახვილისა და ჰაუზის ნიშნების აღნიშვნით):

I. მამაშენის სამი შავი ჯანქარი აქ არ არის.
2. მისი ჩაი ტკბილი იყო და კარგი. 3. თქვენი უფროსი
ქალიშვილი უნივერსიტეტში წავიდა. 4. ჩვენ თქვენს
სახლში არ მოვდივართ. 4. თქვენი გაკვეთილები ძნელი
არ იყო. 5. დედამ ბაზრიდან ოთხი კილო წითელი ვაშლი
მოიტანა. 6. ცივა, კარი მიხურეთ (დაკეტეთ). 7. დედა-
ჩემმა ორი წერილი გაგზავნა. 8. საიდან მოდის ის კა-
ცი? 9. ჩვენი სტუდენტები სპარსულს სწავლობენ. 10. შენ
არ ხარ კარგი ბიჭი. II. თქვენს დიდ ქალაქში ოთხი
ბაზარია. 12. იმ სოფელში ჩვენ ცხენები (ცხენი) არ
გვყავს. 13. იმ სახლში ოთხი სული ცხვარია. 14. მამა-
ჩემს სამი ხელი კოსტიუმი აქვს. 15. ჩვენ ორ საათს
არ გვცალია (დრო არ გვაქვს). 16. კაცობა კარგია.
17. ვაჟი, რომელიც მოვიდა, თქვენი სტუდენტი იყო. 17. აქე-
დან თქვენს სახლამდე ოთხმოცი მეტრია. 18. მან თქვე-
ნი წიგნი მე მომცა. 19. ჩვენს სასწავლო ოთახში ორი
მაგიდა დგას (არის). 20. ის შავი დაფა აქ მოიტანეთ.

გაკვეთილი №21

მყოფადის წარმოება

მყოფადის ფორმა მიიღება საუღლებელი ზმნის
ნამყო დროის ფუძისაგან „ხასთან“ - ნდომა - (აწმყ.
ფუძე - ხაჰ) ზმნის აწმყო დროის (მი- პრეფიქსის
გარეშე) დახმარებით.

ქმრდბნ - კეთება

ხაჰმბი ქმრდ - გავაკეთებ ხაჰიმი ქმრდ - გავაკეთებთ
ხაჰი ქმრდ - გააკეთებ ხაჰიდ ქმრდ - გააკეთებთ
ხაჰმბდ ქმრდ - გააკეთებს ხაჰმბდ ქმრდ - გააკეთებენ

ნხაჰმბი ქმრდ - არ გავაკეთებ
ნხაჰი ქმრდ - არ გააკეთებ
ნხაჰმბდ ქმრდ - არ გააკეთებს

ნხაჰიმი ქმრდ - არ გავაკეთებთ
ნხაჰიდ ქმრდ - არ გააკეთებთ
ნხაჰმბდ ქმრდ - არ გააკეთებენ

ამრიგად, მყოფადის ფორმების წარმოებისას იულ-
ღვის მხოლოდ დამხმარე ზმნა.

რთული ზმნების მყოფადის ფორმები:

ესთერაჰმბ ქმრდბნ - დასვენება > ესთერაჰმბ ხაჰმბ ქმრდ
- დავისვენებ

ბაზ ქმრდბნ - გახსნა > ბაზ ხაჰი ქმრდ - გააღებ

მოსაჰერმბ ქმრდბნ - მგზავრობა > მოსაჰერმბ ნხაჰმბდ
ქმრდ - არ იმოგზაურებს

ყმრარ დაჰმბნ - დაფუძნება, მდებარეობა, ყოფნა > ყმ-
რარ ნხაჰმბდ დაჰმ - არ ექნება ადგილი

მწყლუმ შოდბნ - გამოაშკარავება, გამომჟღავნება >

მწყლუმ ხაჰმბდ შოდ - დადგინდება, ნათელი გახდება.

ისწავლეთ სიტყვები:

ჰვევდლ - პირველი

მარს - მარტი

ანგუნე - იმნაირი, იმნაირად სმბზე - ბალახი, მწვანე

ანთორ - იმნაირად

ადგილი

ახმრ - ბოლო, ბოლოს

სმბზი - მწვანელი

ბმრამბრ - ტოლი

სმჰრა - ველი

ბა ჰემ - ერთად	ქემ - ცოტა
ბიდარ - მდვიდარე	ქემი - ცოტადენი
ბიდარი - სიფხიზლე, უძილობა	ქემ-ქემ - ცოტ-ცოტა
დემ - მდელი, ველი	ქუთაჰ - მოკლე
დერაზ - გრძელი	ჩინდან - იმდენად, რამ- დენადმე
ებთედა - დასაწყისი	ჩეგუნე - როგორ, როგორი
ზიბა - ლამაზი	ჩეთორე - როგორ, რა ვი- თარებაში
თბიკუთ - ბუნება	ჰემე - ყველა
ინგუნე - ამნაირი, ამნაირად	ხორრემ - აყვავებული
ინთორე - ამნაირად	ქასლ - დრო, სეზონი

წაკითხეთ და თარგმნეთ:

ბჰჰარ ქასლე ზიბაჲე ხუბისთ. ებთედაჲე ბჰჰარ ბისთოჲექომე მათჲე მარს ასთ. ბჰჰარ სე მათჰ ასთ. ბჰჰარ ქასლე ბიდარიჲე თბიკუთ ასთ. დარ ბჰჰარ დემ ვე სან-ჰრა სბზე ვე ხორრემ მიშეგად. ჰემეჲა გოლ ვე სბზე ასთ. თბიკუთ დარ ქასლე ბჰჰარ ხეჲლი ზიბასთ. ჰევა ნე ზიჲად გარემ ვე ნე ჩინდან სარდ ასთ. დარ ებთედაჲე ბჰჰარ რუზ ვე შებ ბა ჰემ ბარაბარ ასთ. დარ ბჰჰარ ქემ - ქემ რუჰჰა დერაზ ვე შებჰა ქუთაჰ მიშეგად. დარ ახარე ქასლე ბჰჰარ რუჰჰა დერაზ ასთ. დარ ირან ქარგარდინ მათჲე ავეგლე ქასლე ბჰჰარ ასთ.

დავალება №24. უბასუხეთ შეკითხვებს:

1. ბჰჰარ ჩეგუნე ქასლისთ? 2. ებთედაჲე ბჰჰარ ჩე რუზისთ? 3. ბჰჰარ ჩინდ მათჰ დარდ? 4. ჰალა ჩე ქასლისთ? 5. თბიკუთ დარ ბჰჰარ ჩეგუნე ასთ? 6. დემ ვე სანჰრა დარ ბჰჰარ ჩეგუნე მიშეგად? 7. ჰევა დარ ბჰჰარ ჩეთორე ასთ? 8. დარ ახარე ბჰჰარ შებ ვე რუზ ჩეთორე ასთ?

დავალეზა №25. თარგმნეთ სპარსულად: ✓

I. მე თქვენს ცივ ჩაის არ დავლევ. 2. ის მუშები თქვენს სახლში მოვლენ. 3. ეს სტუდენტი თქვენ შემდეგ წავა უნივერსიტეტში. 4. მე და დედათქვენი თქვენი სახლის დიდ ოთახში მოვალთ. 5. თქვენს სოფელში ბუნება ლამაზია. 6. თქვენ ზამთარში სად წახვალთ? 7. დედათქვენი ორი კილო შაქრის ფხვნილს მოიტანს. 8. ის ორი წყვილი ფეხსაცმელი, რომელიც მამათქვენმა მოიტანა, იმ ბიჭს მიეცით. 9. ის ოთხი სტუდენტი სოფელში დაისვენებს. 10. ორი თვის შემდეგ გავემგზავრებით მოსკოვში. II. მე დილით შვიდ საათზე შენ გაგადვიძებ. 12. ჩვენი ბაღი გაზაფხულზე (გაზაფხულში) მწვანე და აყვავებული იქნება. 13. მისი დიდი სინი სახლში წაიღეთ. 14. ის თეირანელი კაცი ჩვენს უნივერსიტეტში მოვა.

გაკვეთილი №22

კავშირებითი კილო

დაშთან ზმნის თავისებურებანი

კავშირებითი კილო იწარმოება აწმყო დროის ფუძისაგან ბე- პრეფიქსის დართვით

ბერვამ - წავიდე

ბერვიმ - წავიდეთ

ბერვი - წახვიდე

ბერვიდ - წახვიდეთ

ბერვამდ - წავიდეს

ბერვამდ - წავიდნენ

როულ ზმნებთან ბე- პრეფიქსის ხმარება არ არის სავალდებულო:

საღამათ ბუდან - ჯანმრთელად ყოფნა

საღამათ ბაშამ

ჯანმრთელად ვიყო

საღამათ ბაში

ჯანმრთელად იყო

საღამათ ბაშამდ

ჯანმრთელად იყოს

უარყოფითი ფორმების წარმოებისას როგორც მარტივ, ისე რთულ ზმნებში ბე-პრეფიქსი არ იხმარება :

ნაქონამ	ქარ ნაქონამ
ნაქონი	ქარ ნაქონი
ნაქონად	ქარ ნაქონად ✓

კავშირებითი კილო ხშირად იწარმოება დამხმარე ზმნების ხასთან „ნდომა, სურვილი“, თანვანესთან - „შეძლება“, და ბაჟესთან „ვალად დება“ დახმარებით, პირველ ორ შემთხვევაში დამხმარე და ძირითადი ზმნები ერთნაირად იუღლებიან :

მიხატვამ	ბენევისამ	მსურს დავწერო
მიხატვი	ბენევისი	გსურს დაწერო
მიხატვად	ბენევისად	სურს დაწეროს

ნამითვანამ	ჰნაჩ	ბეზანამ	არ შემიძლია ვილაპარაკო
ნამითვანი	ჰნაჩ	ბეზანი	არ შეგიძლია ილაპარაკო
ნამითვანად	ჰნაჩ	ბეზანად	არ შეუძლია ილაპარაკოს

ბაჟად (ბაჟსთ)	ბეგირამ	უნდა დავიჭირო
ბაჟად (ბაჟსთ)	ბეგირი	უნდა დავიჭირო
ბაჟად (ბაჟსთ)	ბეგირად	უნდა დავიჭიროს

ლაშთან ზმნის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ ამ ზმნას აქვს „ქონა-ყოლა“ მნიშვნელობა. გარდა ამისა, მისი დახმარებით ვადწევთ აგრეთვე „მოქმედების პროცესში ყოფნის“ მნიშვნელობის გადმოცემას :

დარამ მირავამ - სვლის პროცესში ვარ , მივდივარ
 დარი მირავი - სვლის პროცესში ხარ, მიდიხარ
 დარად მირავად - სვლის პროცესში არის, მიდის

ისწავლეთ სიტყვები:

პვახერ(ახწარ სიტყ.მრ.
რიცხვი)

აღუ - ქლიავი

აღუბაღუ - აღუბაღი

აღურე - აღურა

ანჯურ - იმნაირი

აყაზ - დასაწყისი

აყაზ ქარდან-დაწყება
(მოქ. გვარი)

აყაზ შოდან - დაწყება
(ვნებითი გვარი)

აფთაბ - მზე

აფთაბი - მზიანი

ახწარ - ბოლო, ბოლოს

გრლას - ბალი

გოლაბი - მსხალი

გორჯე - აღურა

გორჯე(აე)ქარანგი-პომიდორი

ზარდაღუ-ჭერამი, გარგარი

თაბესთან - ზაფხული

თაყრიბან - დაახლოებით

მესლ - მსგავსი

ინჯურ - ამნაირი

მივე - ხილი

მივეჟე სარდერახთი - ხე-
ხილის ხილი

მივეჟე ფადერახთი - ბოსტ-
ნეული

ქოდამ - რომელი

ჰამიშე - ყოველთვის

ჰენდევანე - საზამთრო

ჰოლუ - ატამი

ხარბოზე - ნესვი

ხიჟარ - კიტრი

ჯურ - ჯური, ნაიკსახეობა

წაკითხეთ და თარგმნეთ:

ფას პზ ბაჰარ თაბესთან სსთ.თაბესთან პზ პვა-
ხერე მაჰე ჟუნ აყაზ მიშანვან.თაბესთან მესლე ბა-
ჰარ მ მაჰ დარანდ.დარ თაბესთან პვა გარმ სსთ.რუზ-
ჰა თაყრიბან პამიშე აფთაბისთ.თაბესთან ქასლე მი-
ვე სსთ. მივეჰა დოჯურ-ანდ. მივეჰაჟე ფადერახთი,ინ-
ჰა პასთანდ: ხიჟარ,გორჯე ქარანგი...ჰენდევანე, ხარ-
ბოზე.მივეჰაჟე სარდერახთი ინჰა პასთანდ: აღუ, ზარ-
დაღუ, გორჯე, აღუბაღუ, გრლას, ჰოლუ, სიბ, გოლაბი...რუზე
ახწარე თაბესთან შანვ ვა რუზ ბარაბარ მიშანვან.დარ
ირან მაჰე თირ მაჰე პვენლე თაბესთან სსთ.

დავალეზა №26. უზასუხეთ კითხვებს:

1. ფჳს ჳზ ბჳჳარ ქოღამ ჭჳსლ ჳსთ? 2. თაბესთან ჩე ვჳჳთ აჳაზ მიშჳგბდ? 3. თაბესთან ჩჳნდ მამ ღარდ? 4. დარ თაბესთან ჳჳვა ჩეთორჳრ ჳსთ? 5. რუზჳაჳე თაბეს-თან ჩეთორჳრ ჳსთ? 6. თაბესთან ჩე ჭჳსლისთ? 7. ჩჳნდჯუერ მივე ჳჳსთ? 8. მივეჳაჳე სარდერჳხთი ქოღამ-ჳნდ? 9. მი-ვეჳაჳე ფადერჳხთი ქოღამ-ჳნდ?

დავალეზა №27. კაცჳირებით კილოში აულღეთ შემდეგი

ზმნები: 1. ხორდჳნ (აწმჳო უარჳოფითი);
2. ესთერაჳჳთ ჳარდჳნ (აწმჳო) 3. ნჳმიხასთჳმ ზეხორჳმ.

დავალეზა №28. თარგმნეთ სჳარსულად:

1. ჩევენ ორი დღის შემდეგ თქვენს დედასთან ერთად გვინდა წავიდეთ მოსკოვში. 2. როსტომი ჩევენს სახლში უნდა მოვიდეს. 3. მამარემს სურს, ეს წერილი დაწეროს. 4. ჩვენ გვსურს დილით სამოგზაუროდ წასვლა (წავიდეთ). 5. ვერ შევძელი მისთვის ამ სინის მიცემა. 6. მე და თქვენ ის ცხენი უნდა დავიჭიროთ. 7. თქვენ შეგიძლიათ ამ ბაღში (ბაღისკენ) შეხვიდეთ (წახვიდეთ)? 8. ეს წერილი შავი ფანქრით უნდა დაწერო? 9. ცნახთ ჩვენი ქალაქის ბაზარი. 10. თქვენი ოთახი არ შეიძლება ოცი კვადრატული მეტრი იყოს.

დამიხსოვრეთ! „ბაჳდ ბექონჳმ“, „მიოჳცანი ბერჳვი“, „მიხაჳჳმ ბენევისჳმ“ ტიპის კონსტრუქციები გავრკობის დროს „იხლიჩება“:

მიხაჳჳმ ბა მჳდადე ბოზორგე ფედარეთან ბენევისჳმ.
ბაჳდ ბა ან დანეშუჳანე ირანი ბე დანეშუჳაჳ ბე-
რჳვიმ.

გაკვეთილი №234
მიმღეობები

სპარსულში სამგვარი მიმღეობა გვაქვს: ნამყოსი, აწმყოსი და მყოფადისა.

ნამყო დროის მიმღეობა მიიღება ნამყო დროის ფუძეზე მახვილიანი -ე ელემენტის დართვით.

რძჳთჳნ - წასელა - რძჳთ > რძჳთე - წასული(ან წავიდა რა).

გოჳთჳნ - თქმა - გოჳთ > გოჳთე - თქმული (ან თქვა რა)

სამი აწმყო დროის მიმღეობა სამნაირად იწარმოება:

I. აწმყო დროის ფუძე + მახვილიანი სუფიქსი -ე:

დიდჳნ - ხედვა, ბინ > ბინე - მხედი, მხედველი

ნევეშჳნ - წერა, ნევის > ნევისე - წერის უნარის მქონე

-ე სუფიქსით ნაწარმოებ მიმღეობას ზმნიზედური მიმღეობის მნიშვნელობაც აქვს. მაგალითად, ნევისე - წერით.

2. აწმყო დროის ფუძე + მახვილიანი სუფიქსი -ან - იხმარება, როგორც შემასმენელი ან ზმნიზედური მიმღეობა:

დიდჳნ - ხედვა, ბინ > ბინან - ხედვით, ცქერით

ნევეშჳნ - წერა, ნევის > ნევისან - წერით, წერის პროცესში.

